



მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

## წლიური ანგარიში 2016-2017

**შინაარსი**  
ზოგადი ცნობები  
პროგრამული პრიორიტეტები  
საპროექტო საქმიანობა

**დანართი:**

კავკასიური ინსტიტუტის მიერ 2016-2017 წლებში განხორციელებული პროექტები

*მისამართი:* აკაკი წერეთლის გამზირი 72, თბილისი 0154, საქართველო  
სააბონენტო ყუთი 101, თბილისი 0108, საქართველო  
ტელ: (995 32) 35 51 54, ფაქსი (995 32) 35 57 54  
ელ-ფოსტა: [info@cipdd.org](mailto:info@cipdd.org);  
[www.cipdd.org](http://www.cipdd.org)

## ზოგადი ცნობები

კავკასიური ინსტიტუტი - საჯარო პოლიტიკის კვლევის ცენტრი - ძირითადად, საქართველოში წარმართავს საქმიანობას, თუმცა სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვა-ბალტიის სივრცის ერთობლივ პროექტებშიც მონაწილეობს ხოლმე. ინსტიტუტი ხშირად არის სხვა - ქართული თუ უცხოური - სამოქალაქო ორგანიზაციის პარტნიორი და კოალიციის წევრი; თანამშრომლობს საქართველოს ხელისუფლებასთან, პოლიტიკურ პარტიებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან.

კავკასიური ინსტიტუტი საჯარო პოლიტიკის სფეროს იკვლევს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, გამოსცემს პუბლიკაციებს, აწვობს კონფერენციებს, მრგვალ მაგიდებს და დისკუსიებს; ინსტიტუტი, აგრეთვე, ატარებს სასწავლო ტრენინგებს და სემინარებს საკუთარი კომპეტენციის სფეროში.

ინსტიტუტის საქმიანობას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, ბატონი გია ნოდია. მუდმივ ადმინისტრაციულ შტატს (შვიდი წევრი) ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი, ავთანდილ ჯოხაძე უდგას სათავეში. საპროგრამო საქმიანობას ინსტიტუტის საბჭო წარმართავს, რომელიც ინსტიტუტის თავმჯდომარის, აღმასრულებელი დირექტორის და საპროექტო გუნდების ხელმძღვანელებისაგან შედგება.

კავკასიური ინსტიტუტის სტრატეგიას განსაზღვრავს და საქმიანობას ზედამხედველობს გამგეობა, რომლის წევრებიც არიან:

- რუსუდან გოცირიძე
- ქეთევან გურჩიანი (გამგეობის თავმჯდომარე)
- ნოდარ მანჩხაშვილი
- გია ნოდია
- ნინო ჯაფიაშვილი

### კავკასიური ინსტიტუტის ფინანსები

ინსტიტუტის საქმიანობა დონორების ფინანსურ მხარდაჭერაზე, მისი თანამშრომლების, პარტნიორების და კოლეგების ენთუზიაზმსა და პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული. ინსტიტუტის ფინანსების ნაწილი სხვა წყაროებიდანაც მოედინება. მაგალითად, თანამშრომლების შემოწირულობებიდან, პუბლიკაციების გაყიდვით მიღებული შემოსავალიდან, ან სხვა კომერციული ღონისძიებიდან.

2016 წელს ინსტიტუტის აქტივებმა **790 628 ლარი**, ხოლო 2017 წელს **690 642 ლარი** შეადგინა.

### მისიის გაცხადება

ჩვენ გვინდა, დემოკრატია იყოს არა ახალი დოგმატური იდეოლოგია, სადაც საზოგადოების ავანგარდი ერთადერთ სწორ იდეას მოახვევს თავს “ჩამორჩენილ” თანამომძიებს, არამედ პროცესი, სადაც მოქალაქეები პასუხისმგებლობას იღებენ პოლიტიკურ ცხოვრებაზე. კავკასიური ინსტიტუტი საზოგადოებრივი დისკუსიის კატალიზატორი გახლავთ: აცნობს საზოგადოებას წამოჭრილ პრობლემებს, სთავაზობს მათ ანალიზს, შეფასებას და გადაჭრის ვარიანტებს, აფართოვებს იმ ადამიანთა წრეს, ვისაც უნდა და შეუძლია ჩაერთოს საჯარო პრობლემებზე ბჭობაში.

## პროგრამული პრიორიტეტები

2016-2017 წლებში კავკასიური ინსტიტუტი განაგრძობდა საქმიანობას სტრატეგიული გეგმით მონიშნულ სამ სფეროში: *საჯარო პოლიტიკა, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, სამოქალაქო ინტეგრაცია.*

ინსტიტუტის საქმიანობამ მოიცვა: რეგიონალური ინიციატივების სტიმულირება; საიმიგრაციო პოლიტიკის კანონმდებლობა; ტრეფეკინგის საწინააღმდეგო ღონისძიებები; მიგრანტთა უფლებების დაცვა; პოტენციური კონფლიქტების პრევენცია; სამოქალაქო განათლება; პოლიტიკურ ცხოვრებაში თანამონაწილეობის ღონისძიებები; ინტერკულტურული დიალოგი და სხვადასხვა რელიგიის აღმსარებელთა დაახლოება; პოლიტიკური კვლევები და სხვა.

### კავკასიური ინსტიტუტის დონორები

2016-2017 წლებში ინსტიტუტის საქმიანობას შემდეგი დონორები უჭერდნენ მხარს:

დიაკონიის და განვითარების პროტესტანტული სააგენტო (Brot)  
ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატი (OSCE)  
დემოკრატიის ეროვნული ფონდი (NED)  
აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი (U.S. Department of State )  
საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტი - რუმინეთი (IPP)  
შავი ზღვის თანამეგობრობის მხარდაჭერის ფონდი (Black Sea Trust)  
ღია საზოგადოება საქართველო (OSGF)  
ფრაიბურგის უნივერსიტეტი (UF)  
კონრად ადენაუერის ფონდი (KAS)  
შერიგების რესურსები - გაერთიანებული სამეფო (CR)  
აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო ფორუმი - ბრიუსელი (CSF)  
ღია საზოგადოების ინსტიტუტის ფონდი - შვეიცარია (FOSI)

# საპროექტო საქმიანობა

## ადგილობრივი ინიციატივები

დიაკონიის და განვითარების პროტესტანტული სააგენტოს - პური მსოფლიოს (Brot für die Welt/Bread for the World) მიერ დაფინანსებული პროექტის - "ადგილობრივი ინიციატივები ადგილობრივი განვითარებისათვის" განხორციელება კავკასიურმა ინსტიტუტმა ჯერ კიდევ 2014 წელს დაიწყო. საქმიანობა საქართველოს ოთხ რეგიონს - შიდა და ქვემო ქართლს, აჭარას, სამცხე-ჯავახეთში იყო გაშლილი და 23 მუნიციპალიტეტი, 4 თვითმმართველი ქალაქი, 19 მუნიციპალური ცენტრი და 46 სოფლი მოიცავდა.



რეგიონების მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცა, შეეძინა სათემო მობილიზაციისთვის საჭირო უნარ-ჩვევები და მიღებული გამოცდილება სიღარიბის დაძლევის და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისთვის მოეხმარა.

## პროექტის ეტაპები



წინასწარ შერჩეული მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს, 23 რეგიონულ მოხალისეს და რეგიონალურ კოორდინატორებს, სათემო მობილიზაციის და პრობლემების იდენტიფიცირების უნარ-ჩვევების ტრენინგები ჩატარდა. მათ თავის მხრივ 69 თემში გამართეს შეხვედრები, რის შედეგადაც უკვე როგორც სოციალური, ისე სამეურნეო შინაარსის არაერთი პრობლემის იდენტიფიცირება მოხერხდა. გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის სტრატეგიების შემუშავების მიზნით ჩამოყალიბდა 3-10 წევრიანი საინიციატივო ჯგუფები და დაიწყო აქტიური ადვოკატირების პროცესი პრობლემების მოსაგვარებლად. პრობლემები სხვადასხვა სფეროს მოიცავდა: სასოფლო სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობა, ინფრასტრუქტურა, სასმელი და სარწყავი წყლის მიწოდება, ქუჩის ძაღლები, სერვისების (ჯანდაცვა, ვეტ-სამსახური და ა.შ.) გაუმართობობა, ახალგაზრდებისთვის საგანმანათლებლო და სპორტული ცენტრების არარსებობა.

პროექტის გუნდის დახმარებით მოგვარდა რამდენიმე პრობლემა:

სოფელ ოლავერდში - ადგილობრივი მოსახლეობის თანამონაწილეობით - დამონტაჟდა მეცნიერ-გამომგონებლის, სოსო ნარჩემაშვილის ინიციატივით ენერგოეფექტური წყალსაქაჩი ტუმბო "ირეკსონი". სასმელი წყლის პრობლემა მოგვარდა სოფელ ჯვარიქეთშიც; მანამდე იქაურ მოსახლეობას დაბინძურებული სასმელი წყალი მიეწოდებოდა;

რეგიონის წინასწარ შერჩეულ სოფლებში ჩატარდა საქველმოქმედო აქციები; ბავშვებს დაურიგდათ წიგნები და სათამაშოები;

საინიციატივო ჯგუფებთან და სათემო ორგანიზაციებთან ერთად მომზადდა კონკრეტული პრობლემების მოგვარებაზე გამიზნული საპროექტო წინადადებები, რომლებიც დონორებს წარედგინა. კავკასიური ინსტიტუტი ეხმარებოდა ამ სამოქალაქო ჯგუფებს და ხელს უწყობდა მათ განვითარებას;

მომზადდა 2 დოკუმენტური ფილმი ოლავერდის (ახალქალაქი) და ჯვარიქეთის (ხულოს მუნიციპალიტეტი) ინიციატივებზე...

2017 წლიდან პროგრამა გრძელდება სახელწოდებით - "ადგილობრივი თემი და ხელისუფლება განვითარებისთვის" და მიზნად საქართველოს 12 მუნიციპალიტეტის 24 სოფელში თემის მდგრადი განვითარების შესაძლებლობების შექმნას ისახავს, რათა მოსახლეობამ და ხელისუფლებამ ერთობლივი რეაგირება მოახდინოს ადგილობრივ პრობლემებზე. სამიზნე მუნიციპალიტეტები ოთხი რეგიონიდან ამოირჩა: აჭარაში - შუახევი, ხულო, ქედა; სამცხე-ჯავახეთში - ადიგენი, ახალციხე, ახალქალაქი; ქვემო ქართლში - ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო; შიდა ქართლში - გორი, კასპი, ხაშური. მუნიციპალიტეტების შერჩევა რეგიონალურმა კოორდინატორებმა მოახდინეს.

- სამიზნე სასოფლო თემებში ჩამოყალიბდა საინიციატივო ჯგუფები
- განისაზღვრა (თემებთან ერთად და კითხვარის მეშვეობით) ამა თუ იმ თემის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის სურათი

- გაფორმდა ადგილობრივ ხელისუფლებას და კავკასიურ ინსტიტუტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი, მოხდა საკრებულოს მხრიდან პროექტში ჩართული სამუშაო ჯგუფის იდენტიფიცირება
- ადგილობრივი ხელისუფლების სამუშაო და სათემო საინიციატივო ჯგუფებთან ჩატარდა ტრენინგები და სემინარები
- გამოვლინდა და გაანალიზდა, საინიციატივო ჯგუფის მიერ, ადგილობრივი პრობლემები
- საინიციატივო ჯგუფების და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ შემუშავდა პრობლემების გადაჭრის სტრატეგიული გეგმა
- ჩატარდა სათემო კონსულტაციები პრობლემის მოგვარებაზე მიმართული ინიციატივების დაგეგმვის მიზნით
- სამიზნე თემის, კავკასიური ინსტიტუტის და ადგილობრივი ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით მოგვარდა იდენტიფიცირებული პრობლემები
- ურთიერთგაზიარებულ იქნა წარმატებული გამოცდილება მუნიციპალიტეტებს შორის, განხილულ იქნა შედეგები

2017 წლის განმავლობაში პროექტის აქტივობები განხორციელდა 4 რეგიონის 4 მუნიციპალიტეტის 8 სოფელში:

- აჭარა - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლები: ჭვანა და ცხემლისი
- სამცხე-ჯავახეთი - ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლები: ღრელი და წყორმა
- ქვემო ქართლი - ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლები: ქვეში და დისველი
- შიდა ქართლი - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლები: ბეკამი და ახალსოფელი

სულ 2017 წელს ჩატარდა 105 შეხვედრა, მათ შორის: ტრენინგ-სემინარები საინიციატივო ჯგუფების და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის, - სამუშაო, საკოორდინაციო, სათემო, მონიტორინგის შეხვედრები.

საერთო ჯამში პროექტის ფარგლებში 2017 წელს ჩატარებულ შეხვედრებში 1150-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა (270-მა ქალმა და 880-მა მამაკაცმა).

გაფორმდა 4 ორმხრივი (მუნიციპალიტეტი-კავკასიური ინსტიტუტი) და 8 სამმხრივი (მუნიციპალიტეტი - კავკასიური ინსტიტუტი - სამიზნე სოფელი) თანამშრომლობის მემორანდუმი.

თემის მიერ დასახელებული პრობლემების განხილვის და რეაგირების პროცესში დაგროვდა მუნიციპალურ ორგანოებთან და სათემო საინიციატივო ჯგუფებთან ერთობლივი მუშაობის გამოცდილება. თანამშრომლობა ითვალისწინებდა როგორც პრობლემის ერთობლივ გამოვლენას და მისი გადასაჭრელი ღონისძიებების დაგეგმარებას, ასევე მათ ერთობლივ განხორციელებას და მატერიალურ/ფინანსურ თანამონაწილეობას. განხორციელდა რამდენიმე საერთო პროექტი:

## აჭარა, შუახევის მუნიციპალიტეტი

### სოფელი ცხემლისი

- გზის 55 მეტრიანი მონაკვეთის მობეტონება და 77 მეტრი დახურული სანიაღვრე არხის მოწყობა.
- ერთ-ერთი უბნის 8 ოჯახისთვის წყლის მიღებისთვის საჭირო თხნის 2018 წლის ბიუჯეტში გათვალისწინება


### სოფელი ჭვანა

- ყორნალის უბნის გზის 111 მეტრიან ავარიულ მონაკვეთზე ბეტონის საფარის დასხმა
- ზემოუბანში გზის 35 მეტრიან ავარიულ მონაკვეთზე ბეტონის საფარის დაგება
- გზებზე სანიაღვრე არხების მოწყობის თანხების 2018 წლის ბიუჯეტში გათვალისწინება

### სოფელი ცივამეები

- გზის 500 მეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია, ბეტონის საფარის დაგება

*მხარეების მატერიალური წვლილი, გამოხატული ლარებში:*



## სამცხე-ჯავახეთი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი

სოფლების: ღრელი და წყორძა ძირითადი პრობლემის - სარწყავი წყლის ნაკლებობის, მოსაგვარებლად, შემუშავდა (გამგეობასთან და მოსახლეობასთან ერთად) გეგმა, რომლის თანახმადაც ძველი წყალმომარაგების სისტემის აღდგენის შემთხვევაში სარწყავი წლის პრობლემა მოუგვარდება ახალციხის მუნიციპალიტეტის 6 სოფელს, მათ შორის ჩვენს სამიზნე დასახლებებსაც. პროექტის გასახორციელებლად დამატებითი ფინანსების მოსაზიდად მონაწილეობა მივიღეთ იაპონიის საელჩოს საგრანტო კონკურსში; მცდელობა წარმატებით დაგვირგვინდა.



## ქვემო ქართლი. ბოლნისის მუნიციპალიტეტი

### სოფელი ქვეში

- მოეწყო დასასვენებელი, საბავშვო პარკი სოფლის ცენტრში
- 2018 წლის ბიუჯეტში განისაზღვრა ქვეშის ციხემდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის თანხები
- 2018 წლის ბიუჯეტში განისაზღვრა სოფელ ქვეშის უბნებიდან ნარჩენების გატანის თანხები

### სოფელი დისველი

- სოფლის ცენტრში ორი საცხოვრებელი კონტეინერის განთავსება; კონტეინერებს საზოგადოებრივი დატვირთვა ექნება: ბიბლიოთეკა, სოფლის მკვიდრთა ურთიერთშეხვედრების სივრცე, ამბულატორია...

## შიდა ქართლი, ხაშურის მუნიციპალიტეტი


### სოფელი ახალსოფელი

- მოეწყო საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელი

### სოფელი ბეკამი

- გაყვანილ იქნა 38 მეტრი სიგრძის სანიაღვრე არხი

*მხარეების მატერიალური წვლილი, გამოხატული ლარებში:*





## სამოქალაქო ინტეგრაცია

**პროექტი** - ავარელი და ქართველი ახალგაზრდების სამოქალაქო ინტეგრაციის გაძლიერება.

**დონორი** - ღია საზოგადოება საქართველო

2017 წლის სექტემბრიდან დაწყებული პროექტის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს ყვარლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ავარელი და ქართველი ახალგაზრდების სამოქალაქო ინტეგრაციის გაძლიერებისკენ მიმართული ტრენინგების ჩატარება შეადგენს. თავდაპირველად გამოვლინდა ტრენინგებში მონაწილეობის მსურველი 30 ახალგაზრდა (15 ქართველი და 15 ავარელი) მერე კი შეირჩა მედიასაშუალებები საპროექტო აქტივობების გასაშუქებლად. უკვე ჩატარდა 7 ტრენინგი, რომლებშიც ქართველი და ავარელი მოსწავლეები ერთობლივად მონაწილეობდნენ:

- 1) „უცხოს“ ფენომენის გააზრება - ტრენერი **ლაურა გოტიაშვილი** (ტრენერი პლურალიზმისა და მრავალფეროვნების მართვის საკითხებში)
- 2) კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირება - ტრენერი **ნათია ჭანკვეტაძე** (მანჩესტერის უნივერსიტეტის მშვიდობისა და კონფლიქტების კვლევების მაგისტრი)
- 3) გენდერული თანასწორობა - ტრენერი **რუსუდან გოცირიძე** (ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი, ექსპერტი გენდერის საკითხებში)
- 4) სიტყვის თავისუფლება- ტრენერი **ლევან ღამბაშიძე** (ფილოსოფოსი, ილიას უნივერსიტეტის ლექტორი)
- 5) სტერეოტიპები - ტრენერი **გიორგი ჯანელიძე** - (სცენარისტი, იუმორისტი)
- 6) ეფექტური პრეზენტაცია და კომუნიკაცია - ტრენერი **ქეთევან მურუსიძე** (ორგანიზაცია Generations for Peace, ტრენერი)
- 7) საჯარო გამოსვლები - ტრენერი **ქეთევან მურუსიძე**

აღსანიშნავია, რომ ტრენერები ითვალისწინებდნენ ავარელი მონაწილეების კულტურულ-რელიგიური განწყობას და სიფრთხილით ეკიდებოდნენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ადრეული ქორწინება, რელიგიური სტერეოტიპები, რელიგიური მიზეზით გამოწვეული კონფლიქტები...

ტრენინგებისადმი დაინტერესება დიდია: ტრენერების ანგარიშების თანახმად, მონაწილეთა უმრავლესობა დავალებების შესრულებაშიც აქტიურობს. ტრენინგის ბოლოს მიღებულმა უკუკავშირებმა დაადასტურა, რომ მონაწილეების უმეტესობამ კარგად გაიგო სამუშაოს არსი, აითვისა სამოქმედო ტექნიკა და შეიძინა საჭირო უნარი. შეხვედრებზე დასწრება სტაბილურად მაღალია, მეტიც - არიან „თავისუფალი მსმენელებიც“.

ამგვარმა დამოკიდებულებამ პროექტის გუნდა დაუგეგმავი დამატებითი აქტივობებისკენ უბიძგა. მაგალითად, დაარსდა წიგნის კლუბი, რაც გულისხმობს, რომ

პროექტის განმავლობაში, ყოველ ორ კვირაში ერთხელ, მონაწილეები ვალდებულიებას კისრულობენ სულ ცოტა ერთი წიგნი მაინც წაიკითხონ და მისი შინაარსი ჯგუფში განიხილონ; ყველაზე აქტიურ მკითხველებს კავკასიური ინსტიტუტი სიმბოლურ პრიზებს გადაცემს.

ასეთივე დაუგეგმავი აქტივობა იყო ტრენინგის - ეფექტური კომუნიკაციები და პრეზენტაციების, შემდეგ კონკურსის მოწყობა საუკეთესო ჯგუფური პრეზენტაციის ჩამტარებლის გამოსავლენად. საუკეთესო გუნდებმა უკვე მიიღეს სიმბოლური პრიზები ნატოს საინფორმაციო ცენტრის და კონრად ადენაუერის ფონდისგან, რამაც კიდევ უფრო წახალისა ბენეფიციარები. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ორმა ავარელმა გოგონამ გადაწყვეტა, მეცხრე კლასის შემდეგაც განაგრძოს სწავლა და უმაღლესი განათლებაც მიიღოს (მეცხრე კლასის შემდეგ ავარელები სკოლაში სწავლას, საზოგადოდ, თავს ანებებენ, გოგონების შემთხვევაში გამონაკლისი პრაქტიკულად არ მომხდარა); ეს გადაწყვეტილება, მათივე აღიარებით, კავკასიური ინსტიტუტის პროექტში მონაწილეობის შედეგია. გოგონებმა ოჯახის თანხმობაც მიიღეს.

პროექტის გუნდს მიაჩნია, რომ გაწეულმა სამუშაომ ის შედეგი გამოიღო, რომ ავარული თემის წევრებს ქართულ საზოგადოებაში ჩართულობის სურვილი გაუმძლიერდათ; ამის შედეგად, იქაური სკოლების დირექტორების ინიციატივით, ერთობლივი სპორტული ღონისძიებება გაიმართა ქართული და ავარული სოფლების სკოლების მოსწავლეების მონაწილეობით, - ასეთი რამ ბოლო 25 წლის განმავლობაში არ მომხდარა. ასევე პირველად დიდი ხნის განმავლობაში "ჩვენი ავარელი მეგობრები" რესურს-ცენტრის მიერ გამართულ პოეზიის საღამოზეც მიიწვიეს და სხვა.

პროექტის ნაწილს კვლევა წამოადგენს: ავარელთა თემის მიგრაცია (საქართველოდან გადასახლება 90-იან წლებში და ნაწილობრივი უკანდაბრუნება) და სოციო-ეკონომიკური ვითარება ავარელთა თემში, - პოლიტიკური ჩართულობა, რელიგია, განათლება. ამ მიზნით უკვე ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები როგორც ავარული თემების წარმომადგენლებთან (თივი, ჩანტლისყურე, სარუსო), ისე მათი მეზობელი ქართული დასახლებების წევრებთან და რამდენიმე თბილისელ ექსპერტთან. საზოგადოებისთვის ანგარიშის წარდგენა მარტის ბოლოსთვისაა დაგეგმილი.

ავარელი თემის წარმომადგენლებთან ინტერვიუების ჩატარებაზე წინასწარი თანხმობაც გვქონდა, ჩატარებულმა ტრენინგებმა კი უფრო გაზარდა ინტერესი დაწყებული საქმიანობის მიმართ და ინტერვიუებზე ხალხის დათანხმება გაცილებით გაადვილდა - განსაკუთრებით, სოფელ თივში. უნდა აღინიშნოს, რომ ქალი რესპოდენტები უფრო ხალისით თანხმდებოდნენ თანამშრომლობაზე. საკითხის დელიკატურობის გამო, ინტერვიუების დროს გვერდს ვუვლიდით ქალთა წინადაცვითის თემას, მაგრამ რამდენიმე რესპოდენტმა თვითონ მოინდომა ამ საკითხზე საუბარი.

ამ ყველაფრის მიღწევა იოლი არ აღმოჩნდა; პროექტის გუნდს არაერთი სირთულის გადალახვა მოუხდა:

მთავარმა სირთულემ დასაწყისშივე იჩინა თავი, როდესაც ყვარლის რაიონული რესურს-ცენტრის უფროსმა პროექტის გუნდს სკოლებში ტრენინგების ჩატარების უფლება არ მისცა და ეს მაშინ, როცა კავკასიურ ინსტიტუტს განათლების სამინისტროდან და სკოლის დირექტორებისგან გააჩნდა წერილობითი თანხმობა; გარდა ამისა, ქალბატონმა ქეთევან ჭიპაშვილმა - რესურს-ცენტრის ხელმძღვანელმა - მიიჩნია, რომ სკოლებში მიზანშეწონილი არ იყო ტრენინგის თემების განხილვა "სენსიტიურობის" მიზეზით. მისი აზრით, ავარელ და ქართულ თემებს შორის ინტეგრაციის სიძნელე საერთოდ არ არსებობს. ინსტიტუტი მოერიდა ამ მიმართულებით „ბრძოლის“ გაგრძელებას, რომ სკოლის დირექტორებს პრობლემები არ შექმნოდათ.

კიდევ ერთი სირთულე, რასაც პროექტის გუნდი გადააწყდა, მედიასთან ურთიერთობას უკავშირდება. ზემოხსენებული „კახეთის ხმის“ გარდა, ყველა მედიასაშუალებამ კომერციულ საწყისებზე მოინდომა ჩვენთან თანამშრომლობა, ანუ გამოვლენილი პრობლემების რადიო-ტელევიზიით გაშუქებაში და პრესაში სტატიების გამოქვეყნებაში საფასური ითხოვა. პროექტის ბიუჯეტი ასეთ ხარჯებს არ ითვალისწინებს და გუნდიც იძულებულია ერთადერთ მედიასაშუალებასთან თანამშრომლობით შემოიფარგლოს. კახეთის რეგიონული გაზეთი და ინტერნეტ-გამოცემა „კახეთის ხმა“, სისტემატურად აქვეყნებს ცნობებს პროექტის მსვლელობის შესახებ.

### მონიტორინგი და კონფლიქტის პრევენცია

2016-2017 წლებში კავკასიური ინსტიტუტი განაგრძობდა ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციის ეთნიკურ უმცირესობათა კომისარიატის (OSCE HCNM) დაფინანსებული კვლევისა და ანალიზის პროგრამას - "სიტუაციის მონიტორინგი სამცხე-ჯავახეთში", რომელსაც უკვე 17 წელია ახორციელებს. პროექტის ბენეფიციარებს: საქართველოს ხელისუფლებას (საგარეო საქმეთა სამინისტროს) და ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციას (OSCE) ყოველთვიურად მიეწოდება ადგილობრივი კორესპოდენტების (7 რეგიონალური მონიტორი) და ადგილობრივი მედიის მონაცემთა გადამუშავების გზით მიღებული ანალიტიკური მასალა: სამცხე-ჯავახეთიდან, ქვემო ქართლიდან, გალიდან (აფხაზეთი) და ახალგორიდან (სამხრეთ ოსეთი). ანგარიშებში პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და უსაფრთხოების საკითხებია განხილული.

ანგარიში ბენეფიციარებს სამომავლო პოლიტიკის დაგეგმვაში ეხმარება. საქმიანობის უკეთესი კოორდინირების მიზნით 2017 წლის დეკემბერში მოწვეულმა

სპეციალისტებმა სპეციალური სემინარი გამართეს პროექტის მონიტორებისთვის; სემინარში "ეუთოს" წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

### რელიგია, საზოგადოება და პოლიტიკა

წინა წლებში დაწყებულ პროგრამა - "მსოფლიო რელიგიების კლუბი" კავკასიურმა ინსტიტუტმა 2016-2017 წლებშიც განაგრძო. პროგრამა "კონრად ადენაურერის ფონდთან" ერთად ხორციელდება. მიზანს სხვადასხვა რელიგიის საჭირბოროტო და საკვანძო საკითხებში სტუდენტთა უკეთ გათვითცნობიერება შეადგენს. სტუდენტებს კვალიფიციური ექსპერტებთან უწევთ მუშაობა: თეოლოგებთან, რელიგიის სოციოლოგებთან, აღმოსავლეთმცოდნეებთან, სხვებთან... მონაწილეები კონკურსის წესით შეირჩევიან. სტუდენტები ისმენენ ლექციებს, იმართება დისკუსიები და სემინარები მრავალფეროვნების და რელიგიური შემწყნარებლობის თემაზე, კულტურის და რელიგიის საზოგადოებრივ ფუნქციაზე. მსმენელები სხვადასხვა რელიგიის ძირითად პოსტულატებს და მსოფლხედვას ეცნობიან. იღრმავებენ ცოდნას მსოფლიო რელიგიების ისტორიზე და სხვადასხვა კულტურის თავისებურებებზე. პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა რელიგიური თემების წარმომადგენლების (ქრისტიანების, იუდეველების, მუსლიმების, ინდუისტების...) ურთიერთდაახლოვება ხდება, ახალგაზრდებს შესაძლებლობა ეძლევათ ერთმანეთს თავიანთი რელიგიური გამოცდილება გაუზიარონ. საკულტო დაწესებულებებში ეწყობა "რელიგიური ტურები" იქაური თემების უკეთ გასაცნობად.

ჩამოყალიბებულია ახალგაზრდების წრე, სადაც სხვადასხვა დენომინაციის შესახებ ცოდნას იღრმავებენ და, შესაბამისად, განსხვავებული რელიგიების მიმართ არსებული გაუცხოვება წარსულს ბარდება. დაარსების დღიდან უკვე მეექვსე ნაკადმა დაასრულა კლუბის ხუთთვიანი კურსი რელიგიების შესახებ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია პროექტის ფარგლებში 2017 წელს გამოცემული კრებული - "რელიგიები თანამედროვე გამოწვევათა პირისპირ". კრებულში შესული სტატიები ინგლისურიდან თარგმა ზეინაბ სარაძემ. გამოცემის ინიციატივა ეკუთვნის როგორც კავკასიურ ინსტიტუტს (ელენე ნოდისას), ისე კონრად ადენაურერის ფონდს (გიორგი ბუტიკაშვილის). სტატიებში თანამედროვეობის გამოწვევებზეა საუბარი: სეკულარიზმზე, ფუნდამენტალიზმზე, პოლიტიკურ რადიკალიზმთან რელიგიის კავშირზე, გლობალიზაციაზე... მკითხველი გაეცნობა, რა თემებზე ბჭობს დანარჩენი მსოფლიო რელიგიებთან მიმართებაში ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში. კრებულში შესულია შვიდი სტატია, რომლებიც ყველაზე გავრცელებული რელიგიების აქტუალურ პრობლემებს იხილავს: ჰინდუიზმის, იუდაიზმის, ქრისტიანობის, ისლამის.

სტატიების ავტორები არიან:

**ჯუდით ბატლერი** - კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტის პროფესორი. კრებულში შეტანილია მისი - "არის იუდაიზმი სიონიზმი?"

**ჯონ ბინსი** - კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი. კრებულში შეტანილი მისი წიგნის - "მართლამდიდებელი ქრისტიანული ეკლესიების" ბოლო თავი "პერსპექტივა: ფრთხილი რეფორმირება".

**ჯეი გარფილდი** - ბუდისტური კვლევების აღიარებული სპეციალისტი სტატია: "ბუდჰიზმი და თანამედროვეობა"

**ლორენს კანინჰემი** - ნოტრდამის უნივერსიტეტის ქრისტიანული თეოლოგიის და სულერების პროფესორი. კრებულში შესულია მისი წიგნის - "შესავალი კათოლიციზმში" ბოლო თავი "თანამედროვე კათოლიკური ეკლესია".

**ოლივერ რუა** - ფრანგი პოლიტოლოგი და რელიგიური რადიკალიზმის მკვლევარი. სტატია - "ისლამი და სეკულარიზაცია"

**რობერტ სტივენსი** - სამხრეთ აზიის რელიგიების და კულტურის მკვლევარი. სტატია - "ჰინდუზმი დამოუკიდებელ ინდოეთში: ფუნდამენტალიზმი და სეკულარიზმი"

**კლაიდ უილკოქსი** და **ტედ ჯელენი** - ამერიკელი მკვლევარები. სტატია - "რელიგია და პოლიტიკა ღია ბაზრის პირობებში".

კრებულის კონსულტანტები არიან: **მერაბ ღალანძე** - თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი, **სოფო ზვიადაძე** - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოციერებული პროფესორი და **ნინო ქილარჯიანი** - თავისუფალი უნივერსიტეტის ლექტორი.



კავკასიის შვეიცარული აკადემიური ქსელის და (ASCN) და ფრაიბურგის უნივერსიტეტის ხელშეწყობით 2015 წლის მარტიდან დაიწყო და 2016 წელსაც გრძელდებოდა პროექტი: **რელიგია, საზოგადოება და პოლიტიკა საქართველოში**, რომლის ფარგლებშიც კავკასიური ინსტიტუტი საქართველოს მოქალაქეების განწყობებს და ღირებულებებს იკვლევდა, განსაკუთრებით ეთნო-რელიგიური მრავალფეროვნებისადმი შემწყნარებლობა-შეუწყნარებლობის კუთხით. თავის დროზე, 1997 და 2004 წლებში, კავკასიურმა ინსტიტუტმა გერმანელ რელიგიის სოციოლოგთან, *თეოდორ ჰანფთან* ერთად ორჯონის ჩაატარა მსგავსი კვლევა მთელი საქართველოს მასშტაბით, რომელთაგან პირველი კვლევა წიგნს დაედო საფუძვლად: *Lurching to Democracy. From*



agnostic tolerance to pious Jacobinism: Societal change and people's reactions (Baden-Baden, Nomos Verlagsgesellschaft, 2000). პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევაც მსგავსი კითხვართა და მეთოდოლოგიით ჩატარდა, რამაც საშუალება მოგვცა თვალი გაგვედევნებინა ქართული საზოგადოების ევოლუციისთვის ბოლო თვრამეტი წლის მანძილზე.

რაოდენობრივი კვლევა ტენდერის საფუძველზე შერჩეულმა სოციოლოგიურმა ცენტრმა - "BCJ - კვლევამ" ჩაატარა 2 000 რესპოდენტზე და მთელ საქართველოში. ძიება წარმოებდა ჩაღრმავებული ინტერვიუების მეთოდოლოგიითაც; საკვლევი თემები: "ეკლესიის როლი არჩევნებში" და "რელიგიის ტრანსფორმაცია თანამედროვე აჭარაში. რელიგიური იდენტობის რამდენიმე თავისებურება მუსლიმ და ქრისტიან აჭარლებში".

შესწავლილ იქნა მორწმუნეთა ორი თაობა, უფროსი ასაკი 40–დან 60–წლამდე, ანუ ისინი, ვინც ისლამზე ან ქრისტიანობაზე 90–იან წლებში მოექცნენ და ახალგაზრდა თაობა 17 დან 30 წლამდე, ანუ ისინი, ვინც სოციალიზაცია და რელიგიური იდენტობის ჩამოყალიბების პერიოდი პოსტკომუნისტურ საქართველოში გაიარა.

მოპოვებული მასალის საფუძველზე **თეოდორ ჰანფის** და პროფესორ **გია ნოდის** ახალ წიგნის გამოცემაა დაგეგმილი.

2016 წელს დასრულდა აშშ-ს საელჩოს დაფინანსებული პროექტი - **"ახალგაზრდობის ჩართულობა რელიგიური და კომუნათმორისი კონფლიქტის აღმოსაფხვრელად აჭარის და სამცხე-ჯავახეთის მრავალკონფესიურ რეგიონებში"**. კავკასიური ინსტიტუტის მიზანს, ამ შემთხვევაში, კონფესიურად ჭრელი რეგიონების ახალგაზრდებს შორის რელიგიური პლურალიზმის იდეების გავრცელება შეადგენდა, რელიგიური შევიწროებისა და კონფლიქტების თავიდან არიდების მიზნით.

საამისოდ პროექტის განმავლობაში არაერთი დისკუსია გაიმართა; ერთმანეთი გაიცნეს და დამეგობრდნენ სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლები; დაიწერა ესეები სათანადო თემებზე. ღონისძიებებმა რეგიონის ახალგაზრდებს საკუთრი შეხედულებების დაცვის უნარ-ჩვევა გაუღვივა. მათი დაინტერესება საპროექტო აქტივობებისადმი დიდი იყო.

პლურალიზმის და რელიგიური მრავალფეროვნების ინტერაქციული კურსის მსმენელები ინტერვიუების საფუძველზე შეირჩა სამცხის და აჭარის რეგიონების სტუდენტებიდან და ახალ კურსდამთავრებულებიდან. რეკრუტირების პროცესში რეგიონელური პარტნიორები - "ახალგაზრდა დემოკრატ მესხთა კავშირი" და "დამოუკიდებელ ჟურნალისტთა სახლი" - გვეხმარებოდნენ. შერჩევაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები და სოციალური მეცნიერების პროფესორებიც მონაწილეობდნენ. აჭარის რეგიონიდან 23 მონაწილე შეირჩა, ახალციხიდან - 36.

პროექტის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების (ლექციები, ტურები, საზაფხულო სკოლის მოწყობა) გრაფიკი ასე გამოიყურება:

31.10 – 01.11.2015

რელიგია და ტოლერანტობა - ლექციას უძღვებოდა ბექა მინდიაშვილი (ტოლერანტობის ცენტრის თავმჯდომარე)

უცხოელის ცნება ქართულ საზოგადოებაში - სოფო ზვიადაძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი)

21-22.11.

რელიგია და იუმორი - გიორგი ჯანელიძე ( "დამის შოუს სტუდიის" დრამატურგი)

გენდერი და რელიგია - რუსდან გოცირიძე (საქართველოს ბაპტისტურ-ევანგელისტური ეკლესიის ეპოსკოპოსი)

19 -20.12.2015

სტერეოტიპებს წარმოშობა - ქეთი დევდარიანი ("კრეატიული ფორმულის" სცენარისტი)

შრომა და რელიგია - ემზარ ჯგერენაია (სოციოლოგიის პროფესორი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან)

23- 24.01.2016

ფუნდამენტალიზმი - გია ნოდია (პოლიტიკური მეცინერების პროფესორი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან)

რელიგიის თავისუფლება vs გამოხატვის თავისუფლება - საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის იურისტი

06 -07.02.2016

ბუდიზმი - მარინა ხოსიტაშვილი (რელიგიის მეცნიერი)

ინდუიზმი - მარინა ხოსიტაშვილი (რელიგიის მეცნიერი)

16-17. 03. 2016

იუდაიზმი: რელიგიური რწმენა და ტრადიციები - მარინა სოლომონიშვილი (საქართველოს ებრაელ ქალთა საკრებულოს თავმჯდომარე)

ქალის როლი იუდაიზმში - მარინა სოლომონიშვილი (საქართველოს ებრაელ ქალთა საკრებულოს თავმჯდომარე)

14.05.2016

მრავალფეროვნების ტური ბათუმში



28.05.2016

მრავალფეროვნების ტური სამცხე-ჯავახეთში

11-12.06.2016

რა არის ქრისტიანობა? - **მერაბ ლაღანიძე** (თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის რელიგიის და პოლიტიკის პროფესორი)

მთვარი განსხვავება მართლმადიდებლებს, კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის - **მერაბ ლაღანიძე** (თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის რელიგიის და პოლიტიკის პროფესორი)

18-19.06.2016

ისლამის ისტორია - **გიორგი ლობჯანიძე** (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის პროფესორი)

ქალის როლი ისლამში - **გიორგი ლობჯანიძე** (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის პროფესორი)

01.05-15.06. 2016

შეჯიბრი ესეის წერაში

01-04.07.2016


კამათის ტექნიკის დაუფლების და ესეის წერის კავშირურთიერთობის გაბმის უნარჩვევის ტრენინგი საზაფხულო ბანაკში

აჭარაში მოწყობილ მრავალფეროვნების ტურის დროს პროექტის მონაწილეებმა ბათუმში კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიებს, სომხურ სამოციქულო ეკლესიას, სინაგოგას, მეჩეთს, ხსნის არმიას, პროტესტანტულ ეკლესიას - "სიცოცხლის სიტყვას" მიაკითხეს. იქაური რელიგიური დენომინაციების წარმომადგენლებმა თავ-თავიანთი კომუნების წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ ისაუბრეს.

ჯავახეთში სტუდენტებმა გორელოვკა მოინახულეს, სადაც მე-19 საუკუნიდან მოყოლებული ცხოვრობენ დუხობორები; გაეცნენ რუსი დუხობორების ყოფას, რწმენის თვისებურებებს და ამჟამანდელ პრობლემებს. მოინახულეს ეკლესიები: სომხური სამოციქულო ეკლესია, მართლმადიდებელი ტაძარი და მიტოვებული მეჩეთი სოფელში, სადაც 1944 წელს საქართველოდან გაძევებამდე მუსლიმი მესხები ბინადრობდნენ. მოინახულებულ ადგილთა უმრავლესობა აქამდე უცნობი იყო მნახველებისთვის.

ესეების კონკურსში ყველა სტუდენტი მონაწილეობდა.

**თემები:**

 გენდერული თანასწორობის რელიგიურ ტრადიციებთან თავსებადობა

✚ არის თუ არა რელიგიური დაწესებულება სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი

✚ იგუებს თუ ვერა მართლმადიდებელი რწმენა რელიგიურ ტოლერანტობას

✚ რელიგია ასი წლის შემდეგ.

ესეების შეფასების კრიტერიუმად იდეების დამაჯერებლობა, მტკიცებულებების სიმყარე და გამოხატვის სიციხადე იქნა გამოყენებული. კონკურსის შედეგად თექვსმეტი ავტორი შეირჩა ყაზბეგში მოწყობილი სამდღიანი საზაფხულო ბანაკის მონაწილედ, სადაც სტუდენტებს პრეზენტაციის, არგუმენტირებული წერის და კამათის ტექნიკის უნარ-ჩვევის შესაძენად ჩაუტარდათ ტრენინგი როგორც სალექციო, ისე ჯგუფში მუშაობის ფორმით. გაიმართა დებატები. გამარჯვებული ჯგუფის წევრებმა სიმბოლური საჩუქრები და სერთიფიკატები მიიღეს.

კავკასიური ინსტიტუტის რეკომენდაციის საფუძველზე პროექტის ზოგი მონაწილე ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციის ინტერნი გახდა: დამოუკიდებელ ჟურნალისტთა სახლის (ბათუმი) და დემოკრატ მესხთა კავშირის (ახალციხე). პროექტის სამი მონაწილე მერე მაღალმთიან აჭარაში ჩაერთო ახალგაზრდა თაობის დემოკრატიზაციის და საქართველოს ევრო-ატლანტური ინტეგრაციის თემებზე მოწყობილი ღონისძიებებში. სხვა მონაწილეებმა თვითონ მოაწყვეს - პროექტში მიღებული გამოცდილების საფუძველზე - "მრავალფეროვნების ტურები".

2016 წლის ოქტომბერში დაიწყო და 2017 წლის სექტემბერში დასრულდა დემოკრატიის ეროვნული ფონდის (NED) პროექტი: „**რელიგიურ უფლებათა მონიტორინგი**“. განხორციელდა საქართველოს რელიგიური გაერთიანების წარმომადგენლების შეხვედრებების და ოფიციალური განცხადებების, საჯაროდ გავრცელებული მიმართვების მონიტორინგი, რომლის დროსაც ძირითადი ყურადღება ადამიანის უფლებებზე, პლურალიზმის და დემოკრატიის პრინციპების დაცვა-არდაცვაზე იყო გამახვილებული.

მონიტორინგის შედეგად ექვსი ბიულეტენი შეიქმნა. სამი ბიულეტენი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქის ქადაგებებს, მისი და სხვა სასულიერო პირების ოფიციალურ განცხადებებს მოიცავს. მეორე სამში კი სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკისადმი მუსლიმანური თემების ლიდერთა დამოკიდებულება აისახა, რელიგიის თავისუფლების, რელიგიური რადიკალიზმის და ადამიანის უფლებების დაცულობა-დაუცველობის ნიშნით.

ბიულეტენები ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზეა ატვირთული <http://www.cipdd.org/index.php?Cat=Under&Cid=2&Lang>

მონიტორინგის შედეგების მიმოხლივა და ანალიზი მოცემულია ორ სტატიაში, რომლის ავტორია მკვლევარი სოფო ზვიადაძე:

- საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის შიში პლურალური საზოგადოების და დემოკრატიული სახელმწიფოს მიმართ
- მუსლიმების ხმები რელიგიურ რადიკალიზმსა და დემოკრატიული სახელმწიფოს მოთხოვნას შორის - სამი მეჩეთის ისტორია  
<http://www.cipdd.org/upload/files/sami-mechetis-istoria.pdf>

#### კავკასიური ინსტიტუტის პარტნიორი ორგანიზაციები

2016-2017 წლებში ინსტიტუტი ერთობლივ პროექტებს ახორციელებს შემდეგ ორგანიზაციებთან:

1. რუმინეთის საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტი
2. მოლდოვას დემოკრატიის ინსტიტუტი
3. გორის საინფორმაციო ცენტრი
4. ბოლნისის ენის სახლი
5. ბიზნეს ცენტრი კახეთი, თელავი
6. დემოკრატ მესხთა კავშირი
7. დამოუკიდებელ ჟურნალისტთა სახლი
8. "BCJ - კვლევა"
9. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

## დანართი

### კავკასიური ინსტიტუტის მიერ 2016-2017 წლებში განხორციელებული პროექტები

1. პროექტის დასახელება - *მიგრაციის პროცესის მართვის ხელშეწყობა საქართველოში კვლევაზე დამყარებული ადვოკატირების და ტექნოლოგიების გამოყენებით*  
დონორი - ევროკომისია (EU) და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)  
ხანგრძლივობა - 07.2016 – 06. 2017.

მოცულობა - € 69 324.

კოორდინატორი - თიკო ტყეშელაშვილი

2. პროექტის დასახელება - *ადგილობრივი ინიციატივები ადგილობრივი განვითარებისათვის*

დონორი - დიაკონიის და განვითარების პროტესტანტული სააგენტო - პური მსოფლიოს (Brot)

ხანგრძლივობა - 01.05.2014 - 31.01.2017.

მოცულობა - € 350 000

კოორდინატორი: თიკო ტყეშელაშვილი

3. პროექტის დასახელება - *ადგილობრივი ინიციატივები და მუნიციპალური ადმინისტრაცია ადგილობრივი განვითარებისათვის*

დონორი - დიაკონიის და განვითარების პროტესტანტული სააგენტო - პური მსოფლიოს (Brot)

ხანგრძლივობა - 01.02.2017 - 31.01.2020.

მოცულობა - € 401 200

კოორდინატორი: თიკო ტყეშელაშვილი

4. პროექტის დასახელება: *ავარელი და ქართველი ახალგაზრდების სამოქალაქო ინტეგრაციის გაძლიერება*

დონორი - ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"

ხანგრძლივობა - 15. 08.2017 - 15.05. 2018

მოცულობა - \$ 14 996

პროექტის კოორდინატორი - ელენე ნოდია

5. პროექტის დასახელება - *მსოფლიო რელიგიების კლუბის მორიგი რაუნდი*

დონორი - კონრად ადენაუერის ფონდი (KAS)

ხანგრძლივობა - 2. 2016 - 7. 2017

მოცულობა - € - 6 000

კოორდინატორი - ელენე ნოდია

6. პროექტის დასახელება - *ახალგაზრდობის ჩართულობა რელიგიური და კომუნალური კონფლიქტის აღმოსაფხვრელად აჭარის და სამცხე-ჯავახეთის მრავალკონფესიურ რეგიონებში*

დონორი - აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი (US Department of State)

ხანგრძლივობა - 1.9.2015 - 30.8.2016

მოცულობა - \$ 23 883

კოორდინატორი: **ელენე ნოდია**

7. პროექტის დასახელება - *კვლევა და ანალიზი - საქართველო (მონიტორინგის ქსელი)*

დონორი - ეუთო-ს უმცირესობათა კომისარი (OSCE)

ხანგრძლივობა - 01.01. 2016- 31.12. 2016

მოცულობა - € 37 400

კოორდინატორი - **მარინა ელბაქიძე**

8. პროექტის დასახელება - *კვლევა და ანალიზი - საქართველო (მონიტორინგის ქსელი)*

დონორი - ეუთო-ს უმცირესობათა კომისარი (OSCE)

ხანგრძლივობა - 01.01. 2017- 31.12. 2017

მოცულობა - € 41 000

კოორდინატორი - **მარინა ელბაქიძე**

9. პროექტის დასახელება - *რელიგია, საზოგადოება და პოლიტიკა საქართველოში*

დონორი - კავკასიის შვეიცარული აკადემიური ქსელი და (ASCN) და ფრიბურგის უნივერსიტეტი

ხანგრძლივობა - 01. 04. 2015 – 31. 03.2016

მოცულობა - \$25,000

კოორდინატორი: **ნინო ღამბაშიძე**

10. პროექტის დასახელება - *რელიგიური უფლებების მონიტორინგი*

დონორი - დემოკრატიის ეროვნული ფორნდი (NED)

ხანგრძლივობა 01.10. 2016-30.09.2017.

მოცულობა \$ 35 000

კოორდინატორი - **ნინო ღამბაშიძე**

11. პროექტის დასახელება - *საზოგადოებრივი შეგნების ამაღლება და ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაუმჯობესება - ადამიანის უფლებების, კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების და საგარეო საქმიანობის სფეროში.*

დონორი - შავი ზღვის თანამეგობრობის მხარდაჭერის ფონდი (BST)

ხანგრძლივობა - 27. 07. 2015 - 1. 07. 2016.

მოცულობა - \$ 22 900

კოორდინატორი: **თაკო პატარაია**

12. პროექტის დასახელება: *უსაფრთხოების წინასწარი ზომები ევროკავშირის აღმოსავლეთ კარიბჭესთან*

დონორი - აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მმართველი კომიტეტის სამდივნო (ბრიუსელი)

მოცულობა - € 20 933

ხანგრძლივობა - 01.05. 2016-31.07. 2016

კოორდინატორი: **თაკო პატარაია**

13. პროექტის დასახელება - რელიგია, სახელმწიფო და საზოგადოება

დონორი - დემოკრატიის ეროვნული ფონდი (NED)

ხანგრძლივობა 10. 2015 – 11. 2016

მოცულობა - \$60,500

კოორდინატორი: **სოფი ზვიადაძე**

14. პროექტის დასახელება: *ახალგაზრდა პოლიტიკოსები მშვიდობისათვის - მოდით ვიაზროვნოთ პროგრესულად*

დონორი - შერიგების რესურსები (CR) გაერთიანებული სამეფო

ხანგრძლივობა - 01.08. 2017 - 31.03.2018

მოცულობა - € 13 660

პროექტის კოორდინატორი - **სალომე ადამია**

15. პროექტის დასახელება: *კავკასიური ინსტიტუტი ახალგაზრდა პროფესიონალთა განვითარებისათვის*

დონორი - ღია საზოგადოების ინსტიტუტის ფონდი (FOSI შვეიცარია)

ხანგრძლივობა - 11. 2015 - 06. 2016

მოცულობა - \$ 7 000

პროექტის კოორდინატორი - **ქრისტინე მარგველაშვილი**